№ 412. კვირა, 28 დეკემბერი. 1896—1897 კვირა, 28 დეკემბერი, **№ 412.**

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გ. საზოგადოების" წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერელ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4, მან
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.
Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

ქართული თეატრი

კვირას, 28 დეკემბერს
ქართული დრამატიული დასისაგან ქ. ს. მესხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

სამშობლო

ისტორიული დრამა 5 მოქმ. და 7 სურათად თავ. დავით ერისთავისა

მომქმედნი პირნი:

შაჰი აბასი		ბ. აბაშიძე
ფიხოში, ამისი შვილი		ქ. კარგარელი
ისრაფილ ხან	დიდებულნი	ბ. კანდელაკი
ისკანდერ ბეგ		ბ. ადამიძე
ალავერდი		ბ. საფაროვი
ისმაილ		ბ. გვარამაძე
სვიმონ ლეონიძე		ბ. გამყრელიძე
ქეთევან, ამისი ცოლი		ქ. ეფ. მესხისა
ლევან ხიმშიაშვილი		ბ. სვიმონიძე
თავადი დადიანი		ბ. მჭედლიშვილი
დიაკვანი გოგია		ბ. შათირიშვილი
როინ ამირაჯიბი		ბ. ივერიელი
ესტატე ციციშვილი		ბ. კავთელი
ზაზა		ბ. კარბელი
ჯაშუში		ბ. თამაზიშვილი
ჯალათი		ბ. ივნაძე
გლეხის დედაკაცი		ქ. რჩეულოვისა

მხედარნი, დიდებულნი, ხალხი, ბერი, პატარა ბიჭი და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე რეჟისორი **ქ. მესხი.**

დაიბეჭდა და ისყიდება ყველგან ქართულ წიგნებით მოვაჭრებთან
ი. იმედაშვილისა და ს. ჭელიძის გამოცემანი № 6

დიდ-მოურავიანი

ანუ

გიორგი სააკაძის ცხოვრება

ისტორიული პოემა იოსებ ტფილელისა
წინასიტყვაობით და ავტორის ბიოგრაფიით, სუფთად კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი 104 (86+XVIII) გვ.
ფასი ექვსი შაური
ვინც ათს წიგნს ან მეტს იყიდის ნაღდ ფულით, მანეთზე დაეთმობა 40%.

№ 7

ხალხური პოეზია

და

მელიტონ კელენჯერიძე

კრიტიკული წერილი ფ. მახარაძისა
ფასი ერთი აბაზი
წიგნების საწყობი გამომცემელთა წიგნთ-სავაჭროში, გიორგიევის ქ. (ალექს. ბაღის პირდაპირ), არჯევანიძის სახლში, № 12.
ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, Георгіевская, Имедашвили и Челидзе.*
(10—7)

დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

ხე-ფიცრის ქარხანა

კოდორი (სოხუმის ოლქში)

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისა და განისა.
ფასი მასალებისა მეტად იაფია
უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიათ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩამჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ფოსტის ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе,* ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. (300—278)

ვიღებ ჩემის ხარჯით მამულების დაგირავებას

სახელმწიფო სააზნაურო ბანკში

რამდენიმე წლის მამულის ღირებულობისას გიძლევთ წინ-და-წინ.
მონდობილებას ვასრულებ ხელ-მისაცემ პირობით.
მამული არ უნდა იყოს სამას ქცევაზედ ნაკლები
ადრესი: Кутаисъ, до востребованія. Г-ну Л. И. К. (3—2)

„ველისციხე"

საწყობი კახური ღვინოებისა მ. გ. ტარასოვის ბაღებიდან
ტფილისი, პუშკინის ქ., გენერალ ტერ-ასატუროვის სახლში

ჩვენის საწყობის ღვინოები დაჯილდოვებულია მედლით I-ს კავკასიის ბაღოსნობის გამოფენაზე.

ჩვენს საწყობში მუდმივ იშოვება მაღალი ძველი ღვინოები მშვენიერის თვისებისა ბოთლი 40 კ., 60, 80 კაპ. და 1 მან.
ჩვეულებრივი ღვინო ბოთლი 15 კაპ. მოყოლებული, თუნგი 70 კაპ. და ვედრო 2 მან.
ვინც ერთბაშად ბევრს ღვინოს იყიდის, იმას ღვინო იაფად დაეთმობა.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთა შეკვეთას დროისით და დაუყოვნებლივ ვასრულებთ ხოლმე. შეკვეთის დროს საჭიროა ბე წარმოადგინონ.

უმორჩილესად ვსთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას ჩვენის საწყობის ღვინოები გასინჯონ და შეადარონ სხვა საწყობთა ღვინოებს და მით დარწმუნდნენ ჩვენის ღვინის სიკარგეში. (10—4)

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნი

მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა

ქუთაისის გუბერნიაში და მისი საქმეები

ნ. წერეთლისა

შინაარსი:

I. რამ გამოიწვია დაარსება «მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობისა»?
II. „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის" მოქმედება.
III. „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა" ტ. ბ. ი-ბ კ—ძე
IV. რა და რა ნაკლს პოულობს ი. კ—ძე „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის" საქმეთა წარმოებაში.

ფასი 5 კაპ. (15—5)

გამოვიდა და ისყიდება
ძმათა თავართქილაძეთა ახლად გამოცემული
დრამატიული თხზულება
ავ. ცაგარლისა
მეორე ტომი, ფასი 50 კაპ.

კედლის კალენდარი
1898 წლის
ფასი 30 კ. (25—10)

გამოვიდა
ახალი ქართული წიგნი

ივდითი

ტრაგედია ხუთ მოქმედებად
ჯიაკომეტისა
თარგმანი ივ. მაჭავარიანისა
ფასი 30 კაპ. (15—12)

ფოტოგრაფია
ალექსანდრე როინაშვილისა
ყიდულობს
ძველ ნივთებს და საგნებს—რკინისას, თუჯისას, ბრინჯაოსის, ვერცხლისას, ოქროსას, თიხისას, ქვისას, ფაიფურისას, რქისას და ძვლისას.
ხელ-საქმეს ძველებურის ხელობისას და ნაქსოვ-ნაქარგს და სხვა.
სამკაულს სხვა და სხვას ძველ დროინდელს
ძველს ფულებს და იარაღებს
მსურველთ მიჰმართონ ყოველ-დღე ერევნის მოედანზე საკუთარს ფოტოგრაფიაში
იქვე შეიძლება
სურათების გადაღება
იაფად, სწრაფად და ხელოვნურად.
Фотографія А. С. Роинова
тамъ-же
Коллекція древностей
Тифлисъ, Эриванская пл. д. Харазовой
(100—6)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა.
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექიმი ქალი რუდენკო $10\frac{1}{2}$—$11\frac{1}{2}$ ს. ბავშვებისა და ქალების ავადმყოფ. და ყურის ყვავილს.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის $11\frac{1}{2}$—12 საათ. ქალთა ავადმყოფობათ.

ი. ფ. პროტასევიჩი 12—1 საათ. ყურების, ცხვირის, ყელის და გულის ტკივილებით.

ა. ფ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. გ. გურკო. დღით $1\frac{1}{2}$—$2\frac{1}{2}$ შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობით.

საღამოობით

ა. მ. ზუბინოვი. 5—6 საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანცი 6—$6\frac{1}{2}$ ს.

ა. ნ. შაპკოვსკი 6—7 საათ. ნერვების, ვენერიულ და ზედაკანის ავად.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს ნახველს, სისხლს რძეს და სხვ.

რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერატიებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. **თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ა. **ბერატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. **კოგანი.**
თვალების ავადმყოფობას—ი. ა. **ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა"
რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.

26 დეკემბერი

პორტ-საიდი. აქ ჩამოვიდა კუნძულ კრიტოსიდამ რუსეთის გემი „როსსია".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელგრადი. მილან ობრენოვიჩი დანიშნულ იქმნა ჯარების უფროსად [illegible] ღენერალი მარკოვიჩი—შტაბის უფროსად.

ბომბეი. უკანასკნელის ორი დღის განმავლობაში 142 კაცი გახდა ავად შავის ჭირითა, მათში 105 მოკვდა. ამ ჟამად ჭირი თითქმის იმდენადვე მძვინვარებს, როგორც თავდაპირველად. თუ 10 იანვრის მზის დაბნელებამდე ცოტა არ და[illegible]ა, საშიშია, რომ დიდძალი მცხოვრებნი გადაესახლებიან აქედამ.

ლონდონი. ხმები დადის, რომ ყოველივე დაბრკოლებანი თითქმის [illegible]ლიეს ჩინეთელთ ეშინიან, რომ შეიძლება კიდევ მოხდეს განხეთქილება, რადგან ჰფიქრობენ, რომ გერმანეთის ელჩმა შეაჩერა საქმეთა წარმოება პრინცის ჰენრიხის მობრძანებამდეო. არავითარი ცნობები არ მიუღიათ ჯერ სესხის გამო მოლაპარაკების შესახებ.

ბერლინი. პეკინიდამ დეპეშით იუწყებიან, რომ გერმანეთი და ჩინეთი შეთანხმებულან კიაო-ჩაუს დათმობის შესახებ: გერმანეთის მთავრობას ისეთივე უფლებები ექმნება ჩინეთის წყლებზე ვაჭრობის დროს, როგორიც სხვა დიდს სახელმწიფოებს; გერმანეთის მთავრობას ნება ეძლევა ყოველნაირი შენობები ააგოს [illegible]ამი დათმობილს ოლქში. ყოვლისავე უთანხმობის თავიდამ ასაცილებლად ჩინეთის მთავრობამ თავისი უფლებანი გადასცა გერმანეთის მთავრობას მათდამი დათმობილს ოლქში სანამ საიჯარო ვადა არ შესრულდება.

ჯერ არ იციან რამდენის ხნით არის გერმანეთისადმი გადაცემული ეს ადგილი.

ახალი ამბავი

⁂ თავ. კ. ი. მუხრან-ბატონის ავადმყოფობა თან-და-თან რჩება და როგორც ექიმები ამბობენ, სრულებით განიკურნებაო. გუშინ პატივცემული თავადი კიდეც წამომდგარა ფეხზე და თავისს ოთახში გაუვლია რამდენჯერმე. ტყვია-კი ჯერ-ჯერობით არ ამოუღიათ და იქნება სულაც თავი დაანებონ მისს ძებნას, რადგან [illegible] არა არის-რა.

⁂ **მადლობის გამოცხადება თავ. მუხრან-ბატონის მიერ.** თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი გაზეთის საშუალებით მადლობას უცხადებს ყველას, ვინც-კი თანაგრძნობა გამოუცხადა და მოიკითხეს უბედურ შემთხვევის [illegible]

⁂ **პრინცესა მიურატის ჩამობრძანება.** პარასკევს, 26 დეკემბერს, დილით 8½ საათზე, ამიერ-კავკასიის რკინის გზით ჩამობრძანდნენ ტფილისში მისი უმაღლესობა პრინცესა სალომე მიურატი (სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის ასული) და მისი უფროსის ძის ლიუსიენ მიურატის მეუღლე. თვით პრინცი ლიუსიენი ორი კვირა იქნება, რაც აქ ბრძანდება. მათი უმაღლესობანი ჩამობრძანდნენ ავადმყოფის თავ. კ. ი. მუხრან-ბატონის სანახავად სამეგრელოდამ და ჩამოხ[illegible]

⁂ **საყურადღებო და საგულისხმიერო ხელთ-ნაწერები.** ჩვენ გუშინ ვნახეთ მეტად საგულისხმიერო და საყურადღებო ხელთ-ნაწერები, რომელნიც ეკუთვნიან პატივცემულ ნიკოლოზ ალექსი მესხიშვილს. ეგ ხელ ნაწერები ძველებია და ერთი მათგანი შეიცავს სომხურ ლოცვებსა ქართულ ენაზედ დაწერილს სომეხ კათოლიკეთათვის და მეორე კიდევ იმავე ლოცვებს შეიცავს თათრულ ენაზე, ხოლო ისევ ქართულ ასოებით დაწერილს. ამ ხელ ნაწერებიდან აშკარად სჩანს, რომ როგორც სომხები აგრეთვე თათრებიც კათოლიკურ ლოცვებს ქართულ ენაზე სწავლობდნენ. ნუ თუ ეხლაც იტყვიან „უმამულო პატრიოტები“ რომ ქართველებში კათოლიკენი არ ყოფილან?!...

⁂ **ახალი წამალი მოარულის წინააღმდეგ.** როგორც სატახტო გაზეთებს აუწყებენ დეპეშით ბერლინიდამ, იქ ორს ცნობილს ექიმებს ვასერმანს და ტაკაკის გამოუგონიათ ახალი საშუალება წამალი ყოველგვარ მოარულ სენის საწინააღმდეგოდ. წამალი, თურმე, პირუტყვთა ტვინეულობიდან მზადდება.

⁂ **ფინანსთა სამინისტროს განკარგულება.** ბრძანება მიეცათ გუბერნიის და მაზრის სახაზინოებს, რათა ამ დეკემბრის დამლევს წარადგინონ პეტერბურგის ზარაფხანაში (МОНЕТНЫЙ ДВОРЪ) რაც-კი [illegible], ანუ შავი ფული აქვთ.

⁂ **საეკლესიო უწყების ხარჯი.** სასულიერო უწყება თხოულობს ქალაქებისა და სოფლების მღვდლების და აგრეთვე მისსიონერების ჯამაგირებად მომავლის წლისათვის ცხრა მილიონ მანათზე მეტს, ხოლო იმავე უწყების სკოლებისათვის 7½ მილიონ მანათზე მეტსა.

⁂ **ახალი „ბიურო“.** საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს დააარსოს ყველა სამოსწავლო ოლქების მზრუნველთა კანცელარიებში „ბიურო“ ღარიბ მასწავლებელთათვის; უსაქმოდ დარჩენილს ხელ მოკლე მასწავლებელს ამ „ბიუროს“ საშუალებით შეეძლებათ მოიპოვონ გაკვეთილები და შესაფერი სამუშაო.

⁂ **საერო განათლების სამინისტროს განკარგულება.** ერთის სამოსწავლო ოლქის უფროსს აღუძრავს კითხვა იმის შესახებ შეიძლება თუ არა საოსტატო სემინარიების მოსამზადებელს კლასში სხვა წოდების ყმაწვილის მიღება, თუ არ გლეხისა? ამის გამო სამინისტროს განუმარტავს, რომ კანონის ძალით საოსტატო სემინარიები ღია სასწავლებლად ითვლებიან ყველა წოდებისათვის და ამიტომ, სულ ერთია, გლეხი იქნება, თუ სხვა წოდებისა უნდა მიიღონ ხოლმე მოსამზადებელს კლასშიო.

⁂ **ქართული ხოროსაგან.** ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით ბოდიში მოვიხადოთ ზოგიერთ პირებთან, რომლებთაც შობის წინა დღეს ბარათები დაუგზავნეთ, რომ 24 ამ თვეს უნდა მიგველოცა, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო ველარ მოვახერხეთ. ამასთანავე, როგორც შევიტყე, ვიღაცეები დადიოდნენ ჩვენის ხოროს სახელით და ამით ვაცნობებ ყველას, რომ ჩვენს ხოროს იმ საღამოს სრულიად არ უვლია „ალილოზედ“.

გამგე ქართული საერო ხოროსი ივანე მჭედლიშვილი.

⁂ **ქართული «საღამო» პეტერბურგში.** ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენება დეპეშიდან, თუ რა ჩინებულად ჩაიარა, თურმე, ქართულ საღამოზე პეტერბურგში პირველმა ქართულმა ოპერამ ჩვენის ნიჭიერის და ახალგაზრდა კომპოსიტორის მელიტონ ბალანჩივაძის «თამარ ცბიერმა».

აი ეხლა რასა სწერენ გაზეთ «ნოვოსტი»-ში:

«კეთილ-შობილთა საკრებულოს დარბაზებში ძლივს-ღა ეტეოდა ის დიდძალი საზოგადოება, რომელიც მოაწყდა ქართველ სტუდენტების მიერ გამართულს მეოცდა-ათე საიუბილეო «ქართულ საღამოს» პეტერბურგში. ამ საღამოს პირველად წარმოდგენილ იქმნა პირველი ქართული ოპერა ახალგაზრდა კომპოზიტორის ბ-ნ ბალანჩივაძისა, რომელიც ცნობილი იყო, როგორც ნიჭიერი ლოტბარი ქართველ სტუდენტების ხოროსი.

«ბ-ნ ბალანჩივაძეს თავის ოპერისათვის აუღია ცნობილის პოეტის თავ. აკაკი წერეთლის დრამა «თამარ ცბიერი», რომელშიაც გამოყვანილია ერთი ხანა ქართველთა ისტორიისა: შეთქმა პოეტ გოჩასი იმერეთის დედოფლის თამარის წინააღმდეგ, რომლის დროს მთელს იმერეთში მრავალი უწესოება, ამბოხება და ხალხთა არეულობა ხდებოდა.

«გუშინ დადგმული იყო მარტო ერთი მოქმედება ამ ახალის ოპერიდან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეგ ერთი მოქმედება სრულს საბუთს გვაძლევს სჯა ვიქონიოთ ახალგაზრდა მემუსიკეს აშკარა ნიჭზე, მისს კომპოზიტორულს ხელოვნებაზე, რომელიც ნათლად მოსჩანდა მის მუსიკაში და ეროვნულ ხმების და კილოს დაცვაში. საზოგადოებამ ძლიერ მოიწონა იავნანის სიმღერა, რომელიც ქ-ნ გუშჩინისამ შეასრულა ქალთა ხოროსთან ერთად. ყველა მომღერლები და თვით ბ-ნი ბალანჩივაძე საზოგადოებამ მრავალ-გზის ტაშის-კვრით და «ვაშას» ძახილით დააჯილდოვა, ხოლო ახალგაზრდა და დიდად ნიჭიერს კომპოზიტორს სტუდენტობამ მიართვა ძვირფასი საჩუქარი.

«ოპერის გარდა გამართულ იყო ჩვეულებრივად ქართული ხოროს სიმღერები, რომელსაც ასრულებდნენ სტუდენტები და ქ-ნი ჩუბინსკისა, ვოლინცევისა და ბ-ნი ჟდანოვი, ზელისმანი, ორეშკევიჩი და სხ. ყველა მონაწილეთ დიდი ტაშის-კვრა და ვაშის ძახილი ერგოთ; განსაკუთრებით საზოგადოებამ მოიწონა ქართული ეროვნული საგალობლები. ახალგაზრდობა ხარბად ისმენდა ძვირფასს სამშობლო ხმებს, რომელიც აგონებდა შორეულს საქართველოს მისის ბრწყინვალე წარსულით, წარჩინებულის გმირებით, რომელთა ხსოვნა ახალგაზრდობა დღესაც ქართული ხმები აგონდება ყველა მსმენელთ საქართველოს მდიდარს ბუნებას და იმ კურთხეულ ქვეყანას, რომლის სიმშვენიერე გაულექსავთ მრავალ გზის როგორც ადგილობრივს, ისე რუსეთის პოეტებს, იმ ტურფა საქართველოსა, რომელიც წლითი წლობამდის ჰგზავნის ჩვენს ჩრდილოეთში თავისს ახალგაზრდობას, თავისს ინტელიგენტ თაობას, რომელიც მოღვაწეობს სახელმწიფო თუ საზოგადოებურ ასპარეზზე თვის-და სასახელოდ და სამშობლოს სადღეგრძელოდ.

«ქართველთა ინტელიგენციის წარმომადგენლებიც ბევრნი დაესწრნენ ჩვეულებრივ ამ ეროვნულ საღამოს.

«სიმღერებთან ერთად დიდი ზედგავლენა იქონია. აგრეთვე საუცხოვო ლეკურმა, რომელსაც თამაშობდნენ მომხიბლავი და მომაჯადოებელი ქ-ნი მ. მ. პეტიპას, თავ. მ. ⁂ და აგრეთვე ქ-ნი არლანისა, სა[illegible]არი და სხვ.» «საზოგადოდ საღამო ჩინებული და საუცხოვო რამ იყო, გაგრძელდა დილის 4 საათამდე და თან და თან სიმხიარულე და სიცხოველე ემატებოდა ამ საგანგებო საღამოს».

«ფარდულებში ჰყიდდნენ ყვავილებს, კონფეტებს და შამპანიურ ღვინოს „დახლიდარად“ ჩვეულებრივ ისევ ის მომხიბლავი ქ-ნი მ. მ. პეტიპა იყო, რომელიც არც ერთს ქართულ საღამოს არ მოსცდენია და ყოველთვის მხურვალე მონაწილეობას იღებს ხოლმე.

«ქართველ სტუდენტს შორის ბევრი უმწეო და ღარიბია და წუხანდელი საღამო ბევრს გაუმართავს ხელს.

ეს არასოდეს არ უნდა ავიწყდებოდეს საზოგადოებას, რომელიც დაიარება ხოლმე საქველ-მოქმედო საღამოებზედ».

Nemo

⁂ **უზარ-მაზარი და საოცარი «გლობუსი».** გამოჩენილს მეცნიერს და გეოგრაფოსს ელიზე რეკლიუს თხოვნა შეუტანია პარიზის ქალაქის საბჭოში, რომ დამითმეთ ათის წლით ის ადგილი, რომელსაც ტროკადეროს ეძახიან, რათა მომავლის მსოფლიო გამოფენისათვის, რომელიც 1900 წელს იქნება გამართული პარიზში, გავაკეთო უზარ-მაზარი და საკვირველება «გლობუსიო» (დედამიწის მსგავსი ბურთისებური სფერა) ამ გლობუსს სიმაღლე ექნება 87 არშინი ანუ 27 საჟენი, სიგანე 64 არშინი 21 საჟენზე მეტი, ხოლო ირგვლივ კარგი ორი დღიური მიწის ოდენა იქნება. ამ უზარ-მაზარ «გლობუსში» მრავალი მანქანები მაყურებელთათვის ასასვლელი და ჩასასვლელი კიბეები. გლობუსზე დაწვრილებით იქმნება ნაჩვენები სხვა და სხვა ქვეყნები, სახელმწიფონი და სხვა. შიგ გლობუსში გამართული იქნება სხვა და სხვა შესაქცევი, საკუჩნავები, გასართობები და სხვა. რა თქმა უნდა, ეგ გლობუსი პარიზის გამოფენაზე ერთი ფრიად საინტერესო და საკვირველი სანახავთაგანი იქნება.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ გამოგზავნილ კორესპონდენციაში, სათაურით «ყინვის მსხვერპლი», ჰიჰინაძის შე[illegible] ამბავი შეცდომითაა მოწერილი ერთი მოწაფის წყალობით, რომელმაც მე მიამბო ჰიჰინაძე დაცემულა და გადაქცეულა, მაგრამ მალე მოებრუნებიათ, სიკვდილით კი არ მომკვდარა. ვისწრაფვი გავასწორო ჩემი უნებლიერი შეცდომა და თან ბოდიშს ვიხდი ჰიჰინაძესთან და მკითხველებთან ასეთი უნებლიე შეცდომისათვის

ამხანაგი

⁂ **ოზურგეთი. საღამო საქველ-მოქმედო აზრით.** ადგილობრივი ინტელიგენცია 4 იანვრისათვის ოზურგეთში საღამოს გამართვას აპირებს, სასარგებლოდ აქაურის საჯარო წიგნთსაცავისა. ამისათვის კომიტეტი უკვე ამორჩეულია, რომლის თავმჯდომარედ ბრძანდება პატივცემული კნეინა ნინო გურიელისა. საღამო მრავალ-ფეროვანი და საინტერესო იქმნება. დადგმული იქმნება ცხოველი სურათები. სიუჟეტები სურათებისათვის უმეტეს ნაწილად ჩვენის ისტორიულის ცხოვრებიდან არის ამორჩეული. ცხოველ სურათებს გარდა საკონცერტო განყოფილებაც იქმნება. ამისათვის მოწვეულნი არიან ტფილისიდან ჩვენი ახალგაზრდა ნიჭიერი მომღერალი ბ-ნი ილ. კარგარეთელი, უნაგირადან (სუფსიდან) ძმანი გურიელები. მოწვეულნი არიან აგრეთვე ჩვენი არტისტი ბ-ნი ვ. აბაშიძე და საუკეთესო მკითხველები სცენისა ჩვენის ცხოვრებიდან. მზადება დიდი აქვსთ კომიტეტის წევრებს. თითქმის ყოველ საღამოს კრებები აქვსთ გამართული და რეპეტიციები დანიშნული.

ბახმაროელი

⁂ **ბათომი.** ეგ-კი მეტის-მეტია!! ამ ბოლოს დროს ხშირად ვკითხულობთ ხოლმე, ჩვენდა სამწუხაროდ, ჟურნალ-გაზეთებში, რომ გარყვნილობამ იმატა, რომ ზნეობით დაცემულნი ქალნი მეტის-მეტად თავ-აშვებულნი დახეტიალობენ; ჩვენის ინტელიგენციისა, ჟურნალ-გაზეთებისა და მთავრობის წმინდა მოვალეობაა ამ საზიზღარის სენის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა.

ქ. ბათომი სხვა ჩვენს ქალაქებზე უფრო გახრწნილია და ნამდვილი ბუდეა ყოველისავე სიბილწისა და გარყვნილობისა: კაცს ქუჩაში ვერ გაუვლია, მაშინვე დაედევნებიან აღვირ-ახსნილნი „დიაცები“ და ვინ იცის, რა ღონეს არ ღონობენ, ოღონდ-კი როგორმე ყავახანაში ან სხვაგან სადმე ჩაითრიონ და ჩაიტყუონ გამოუცდელი ყმაწვილები... მიკვირს, რატომ არავინ ყურადღებას არ აქცევს ამ საძაგლობას! მიკვირს, რომ ადგილობრივი გაზეთი «ჩერნ. ვესტ.“-ი ხმას არ იღებს ამის შესახებ—ვგონებ-კი, რომ მისი მოვალეობაა, გაჰკიცხოს ხოლმე ყოველივე სისაძაგლე და მავნე მოვლენა, მაგრამ ეს გაზეთი ამის მაგიერ ქართველობის ლანძღვა-თრევაში და ბეზღებაში ალამებს თავისს დღეს...

დ. მანჯგალაძე

⁂ **დ. ზესტაფონი** (იმერეთი). **ღამის ყარაულები გვჭირია!** ბევრი კარგი ითქმის ჩვენის დაბის წესწყობილებაზე, მაგრამ რამოდენიმე საყვედურიც ერგება ჩვენს დეპუტატებს და მეთვალყურეებს. წარმოიდგინეთ, რომ ზოგიერთი ქუჩები ორ რიგად დასჯილები არიან: არც განათება და არც ღამის ყარაულია მათთვის. წესი და რიგი მოითხოვს, რომ რიგიანად გაწყობილს დაბა-ქალაქში განათებულიც იყოს ქუჩე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ყარაულებიცა ჰყავნდეს და თუ ორი ერთად არ მოხერხდება, მაშინ ან ერთი და ან მეორე მაინც აუცილებელი საჭიროებაა. იმედი გვაქვს, რომ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება ექნება მიქცეული ვისგანაც ჯერ არს!.!

გ. ზანაველი

*** **ს. რკვია** (ზემო იმერეთი) მონადირე სწორას სოფელს. სოფ. რკვია მთა ალაგზე მდებარეობს და ეს უნდა ჩაითვალოს იმის მიზეზად, რომ აუარებელი მხეცები და გარეული ფრინველები იკლებენ აქაურობას, ქორი, ძერა და მელა. ხომ მოგეხსენებათ, დიდი მტრებია გლეხი კაცისა და რაც კი რამ გააჩნია, ქათამი კრავი, გოჭი და სხვა—სულ ყველაფერს უწყალოდ ართმევენ საბრალო გლეხს... გვყავდა სოფელში ერთი ღარიბი მარტო ხელი გლეხი, რომელსაც მეტი საქმე არაფერი ჰქონდა. გარდა ამ მავნე ცხოველების დევნისა და ხოცვისა. სოფელიც დიდი მადლობელი იყო იმისი ამ დავალებისათვის. საუბედუროდ, აგერ ორი წელიწადია მას აქეთ, რაც მას ქურდები დაესხნენ თავს და ერთად ერთი მისი სიმდიდრე—სანადირო თოფიც მოჰპარეს. მას აქეთ ისიც ილანძღება და სოფლის მკვიდრნიც შეწუხებულნი ვართ გარეულის ფრინველებისა და მხეცებისაგან. ხსენებულს მონადირეს შეძლება არა აქვს, რომ მეორედ შეიძინოს კიდევ თოფი და ამიტომ ურიგო არ იქნებოდა, რომ სოფელში მოვაგროვებდეთ თითოორორ შაურს და უყიდდეთ მას რიგიანს თოფს... იმედია, ამას ყურადღებას მიაქცევს ჩვენი მამასახლისიც და ჯეროვანს ზომებს მიიღებს.

ი—ტე გ—ძე

*** **განჯა** ქართველი საქველმოქმედო წარმოდგენა. დღეს, 28 ქრისტეშობის თვეს, განჯაში გამართული იქნება სცენის მოყვარეთაგან ქართული საქველ-მოქმედო წარმოდგენა. წარმოადგენენ ავ. ცაგარლის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ და „მათიკოდან“ ერთს მოქმედებას მონაწილეობას ღებულობენ ქ-ნი ყაზიბეგისა, გელიკურაშვილი, ბაქრაძე, ყაზიბეგი, გეთაშვილი, მეფისაშვილი, ბუტიკაშვილი და სხვ. წარმოდგენის შემდეგ გაიმართება ცეკვა თამაში. სრული იმედია, რომ განჯის ქართველობა და საზოგადოდ აქაური საზოგადოება თანაგრძნობას არ მოაკლებს ამ წარმოდგენას და სიამოვნებით დაესწრობა ვითარცა წინა წლებში.

დოლი

*** **სოფ. ტირძნისი** (ქართლი). სოფლის მოხელეთა ურიგობა. წლის იანვარში ტირძნისის სამრევლო სკოლა გადაკეთებულ იქმნა აგრეთ წოდებულ „მეორე კლასიან“ სასწავლებლად, რომლის შესანახავადაც წელიწადში იხარჯება 1,500 მან. ხოლო დანარჩენს 200 მან. ტირძნისის საზოგადოება კომლზედ მანათს. იხდის აგერ თითქმის ერთი წელიწადი გადის, რაც სკოლა გაიხსნა მაგრამ ჯერაც ერთი შაური არ აუღიათ ამ 200 მანათ. ეს მარტო გლეხების სიღატაკის ბრალი კი არა, ჩვენი მოხელეების დაუდევრობის ბრალიცაა.

ჩვენი მამასახლისი და იმისი „ნასწავლი“ მწერალი საკუთარს ჯამაგირზედ უფრო მეტს ზრუნავს, ვიდრე სხვაზედ და მიზეზიც ეს იყო, რომ ჯერ წამოუარეს ხალხს და თავიანთი ჯამაგირი 1 მან. 50 კაპ. კომლზედ წააგლიჯეს, შემდეგ ფოშტის ფული და ბოლოს მგონია მასწავლებლების ჯამაგირსაც მიჰყვეს ხელი მაზრის უფროსის განმეორებული სასტიკი ბრძანების შემდეგ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგისათვის მაინც არის სასკოლო გადასახადი სახელმწიფო ხარჯთან ერთად იქნება გაწერილი და მოკრებილი, როგორათაც ეს ზოგიერთა საქართველოს სოფლებში არის მიღებული.

აქაური

*** **ხუნევის საზოგადოება** (იმერეთი.) მადნების საქმის არევ-დარევა. ჩვენი საზოგადოება მდიდარია მადნეულობით, მაგალითად: რკინის, სპილენძის და აზბესტის ანუ გორნილონის მადნებით, ყველაზე უფრო საუკეთესო მადანი არის „აზბესტი ან გორნილონი“. ეს მადანი აღმოაჩინა ს. ბჟინევში მიხეილ ყიფიანმა; ამნაირივე მადანი აღმოაჩინა სოფელ ვერტყვი-ქალაში აქაურმა მცხოვრებმა გლეხმა იაკობ გოგოლაძემ. ხსენებული მადნები სახელმწიფო გლეხების ადგილებში არის, ამიტომ აღმომჩენლებმა სამთო სამმართველოს (გორნოე უპრავლენიეს) ნება რთვა სთხოვეს და კიდევაც მოუვიდათ, მაგრამ რა გამოვიდა ბჟინევის მადანზე დავა აუტყდათ პირველ აღმომჩენს მიხეილ ყიფიანს და გრიგოლ წერეთელს; ორივე გაიძახის „არა მე აღმოვაჩინე და არა მეო!“ ასეა თუ ისე, ხალხის ლოდინს ბოლო აღარ ელირსა და ყოველს დღეს ელიან საქმის გადაწყვეტას რომელიმე მხრისკენ, რომ იქნება სამუშავო რაიმე იშოვნონო ამ საერთო გაჭირვების დროს.

ამავე საზოგადოებაში სოფელ გეთსამანიანში აღმოაჩინა აქაურმა გლეხმა მალაქია გოგოლაძემ სპილენძის მადანი და კიდევაც აიღო ნება რთვა სამთო სამმართველოდგან, მაგრამ ამასაც წინა აღდგნენ ხსენებული სოფლის გლეხები და არ მისცეს ნება მუშაობისა; როგორც გავიგე, გლეხებს თხოვნით მიუმართავთ სამთო სამმართველოსთვის; ამაზე დღეს ქაღალდი მიიღეს სამთო სამმართველოდგან; ამბობენ, მუშაობა შეუჩერებიათო!..

თუ ეს ასე არის და ისევ გლეხებს მიეცათ სახელმწიფო მამულში თვითონ საქმის წარმოების ნება, მაშინ სხვა სოფლებიც არ შეუშვებს იმ პირებსაც, ვისაც ნება აქვთ აღებული სამთო სამმართველოდგან და უეჭველია უქმად ჩაუვლის მათ მარკების და თხოვნების ხარჯი, ამას ვინ ჩივის;—მუშაობაც რამოდენიმე ხნით შეფერხდება და საზოგადოდ აირევ-დაირევა ჩვენში მადნების საქმე, რომელსაც თუ კაცმა უპატრონა აურიცხველი სიკეთის მოტანა შეუძლიან ჩვენი ქვეყნისთვის...

ბეს. ქ—ელი

*** **კავკავი.** მზადება საღამოს გამართვის გამო. აქაურმა ქართველ მანდილოსნებმა შარშან თავი ისახელეს იმით, რომ კავკავის ქართულ სკოლის დარბაზში საღამოს გამართვის ნებართვა გამოითხოვეს და გამართეს საღამო საქველმოქმედო მიზნით. შარშან მართლა ისე ჩინებულათ ჩაიარა საღამოს საქმემ, რომ საზოგადო სიამოვნებასთან საზოგადო კეთილ საქმესაც შეეძინა 300 მანეთამდის ნაღდი ფული. შარშანდელი წარმატებით წაქეზებულებმა წელსაც განიზრახეს საღამოს გამართვა საქმელმოქმედო აზრით, როგორც შარშან. ამ საგნის გამო რამოდენჯერმე კრება, ბჭობა და თათბირი ჰქონდათ აქაურს მანდილოსნებს და კაცებსაც თავდაპირველად წარმოითქვა ის აზრი, რომ საცეკვავო საღამო გამართული იქმნეს კეთილშობილთა საკრებულოს დარბაზში ცხოველის სურათების დადგმით შობადღეს. მაგრამ ეს აზრი, შემდეგ კრებაზე, სხვა და სხვა მიზეზისა გამო, ჩაიშალა და ნაცვლად კლუბისა გადასწყვიტეს, რომ საღამო გამართული იქმნას ისევ სკოლის დარბაზში მომავალი წლის ოთხს იანვარს. 21 დეკემბერს ამ საგნის გამო გამართულ კრებაზე, სხვათა შორის, წარმოითქვა ის აზრი, რომ ქართველი და სხვა მდაბიო ხალხი უფრო სიამოვნებით მოვლენ სკოლაში, ვიდრე კეთილშობილთა საკრებულოში, სადაც ხარჯიც ბევრია საჭირო, ვიდრე სკოლაშიო. სრული იმედია, რომ კავკავის ქართველობა და ყველა ვისაც გული შესტკივა ქართველთა საზოგადო საქმისათვის, ბლომად დაესწრებიან განძრახულს საღამოს და თავისს სიამოვნებასთან ერთად საზოგადო საქმესაც დაეხმარებიან თავისი წვლილით.

— **წარმოდგენის გამართვის საჭიროება.** სხვა კეთილ საქმეთა შორის ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კავკავში ხანდისხან ქართულ წარმოდგენებსა მართავენ ხოლმე მაგრამ ეს წარმოდგენა ადგილობრივი სცენის მოყვარეთა მიერ იმართება წელიწადში მხოლოდ ერთხელ მაშინ როდესაც საქმე რომ უკეთ იყოს დაყენებული და წარმართული მოსახერხებელი იქნებოდა, რომ წარმოდგენები რამდენჯერმე ყოფილიყო გამართული საქველ-მოქმედო მიზნით; ამ ნაირათ საზოგადო საქმესაც ეშველებოდა რამე და ხალხიც დიდათ მადლიელი იქნებოდა სცენის მოყვარეების, როგორც ყოველთვის ამ საგნის შესახებ ჩვენ წინათაც გვიწერია და ეხლაც გავიმეორებთ, რომ კარგს იქმნენ კავკავის სცენის მოყვარულები, თუ სცენის საქმეს უკეთესად მოაწყობენ, ვიდრე დღეს არის და წარმოდგენასაც უფრო ხშირად გამართავდნენ. წრეულს ჯერჯერობით ამ საგნის გამო არავის ხმა არ ამოუღია, ამისათვის ჩვენა გვგონია საჭიროა აქედანვე შეუდგნენ ჩვენის სცენის მოყვარენი, როგორც პიესის არჩევის საქმეს, აგრეთვე სხვა საჭირო თავდარიგსაც, რომ ბოლოს შეძლებისა-და გვარად საქმე კარგად გაჩარხული დარჩეს. ქართული წარმოდგენები შესამჩნევ კვალს აჩენს კავკავის ქართველობაზე, მომეტებულად მდაბიო ხალხზე, რომელსაც სცენაზე ნახული და გაგონილი რამდენიმე ხნით სალაპარაკოდ აქვს. ხალხს სწყურიან გაიგონოს, მოისმინოს მშობლიური ენაზე სცენიდგან პიესები. ამას ჰქვიან სულიერი საზრდო, რომელსაც ადვილად მიაწვდიან აქაური სცენის მოყვარენი ხალხს თუ საზოგადო საქმის სიყვარულით მოჰკიდებენ ხელს და ღირსეულად გაუძღვებიან სცენის მხრითაც ხალხის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ჩვენ სრულიად ეჭვი არა გვაქვს იმაში, რომ აქაური სცენის მოყვარენი ნამდვილს საქმის სიყვარულით არიან გამსჭვალულნი, მაგრამ დამერწმუნებით, რომ ყოველი საქმე ზრდას განვითარებას და წარმატებას ითხოვს, საქმეც ის არის. რომ ჩვენი სცენის მოყვარულებს პიესების დადგმის რიცხვში წარმატება არ ეტყობათ. თუ ამ სამი წლის წინად აქაური სცენის მოყვარეებმა ერთხელ გამართეს წარმოდგენა პროგრესის კანონის მიხედვით, საჭირო იყო შემდეგ წლებში წარმოდგენის რიცხვს თან და თან ებარტყა და არ შეჩერებულიყო ერთს წერტილზე. როგორც დღეს ვხედავთ, ყოველ შემთხვევაში ჩვენი წრფელი გულის წადილია ვუსურვოთ აქაური სცენის მოყვარულებს სრული წარმატება წარმოდგენის გამართვით საზოგადო საქმის რიგიანად წარმართვაში და მშობლიური ენის აყვავების საქმეში.

კახაბერი

*** **სიღნაღი.** საკვირველი თავგასულობა და თავხედობა. 19 ამ თვისას, თუქურმიშიდგან აქ, სიღნაღის სასტუმროში მოვიდნენ თურმე ორი ჯარის კაცი თ. გურიელი და ნიჟარაძე. ეტლი დაიქირავეს სოფელ ქოდალოში ნათესავთან წასასვლელათ და მანამ ეტლს ბარგით დატვირთავდნენ, თითონ საუზმეს შაექცნენ. ცოტა თურმე შეუგვიანდათ სასტუმროში, მეეტლემ ეს იუკადრისა და ეტლიდგან ბარგი გადაყარა და ეტლი წავიდა. ეს რომ თავადებმა მოახსენეს, ისინი გავიდნენ და დაუწყეს ძებნა მეეტლეს.

ამ დროს გამოვარდა ვიღაც გევლო მეეტლე, სულ გარეშე კაცი და უთხრა, მე გახლავართ იმ ეტლის პატრონი და აბა რა გნებავსო. ისა გვნებავს, რომ ეხლავე ეტლი შეაბა და წაგვიყვანოვო. არა თქვენ «კლაუზნიკი კნიაზები» ხართ და მე არც ეტლს მოგცემთ და არც სხვა მეეტლეს შევაბმევინებო და თურმე თან ახლო იწევდა თავადებზედ თ. ნ. თავის დასაცველად თურმე ხმალზედ ხელი გაიკრა, მაგრამ ამ დროს მთელი ხალხი აქ იყო მოგროვილი და უკანიდგან ვიღამაც გამოჰგლიჯა ხელიდგან ხმალი და დაუმალეს. რაკი დაინახეს, რომ მთელ ბრბოსთანა ჰქონდათ საქმე, თავადებმა პოლიციას მიჰმართეს.

ბოქაულიც მალე მოიჭრა, ხმალი უპოვნა და ის ყმაწვილებიც გაისტუმრა ფოსტის ეტლით, მაგრამ როცა სხვისა მოსარჩლე მეეტლე გევლოს წაყვანა მოინდომა პოლიციაში დანაშაულების გამოსაკითხველათ, გევლომ შეჰკივლა, რომ ის დამნაშავე არ არის და არც პოლიციაში გაჰყვება ბოქაულს, ბოქაულმა უბრძანა თავი უმცროსთ გევლოსთ წაყვანა პოლიციაში, მაგრამ გევლო კიდევ გაძალიანდა და თვით ბოქაულს სტაცა ხელი ხმალზედ. ბოქაულმა ძალით წაათრევინა ურჩი გევლო პოლიციაში, მაგრამ გზიდგან გაქცეულა და მაზრის უფროსთან თითქმის წასულიყო ბოქაულზედ საჩივლელათ, ბოქაულმა მცემაო.

ბოქაულმა ჯეროვანი ოქმი შეადგინა შეურაცხებაზედ და ვნახოთ, რით გათავდება საქმე.

ეს ამბავი ერთს თფილისის გაზეთში სულ სხვა კილოზე იყო მოთხრობილი.

Adam

*** **თიანეთის მაზრა.** შიმშილით მკვდარი—

დაფარული არ არის ეხლანდელს დროში, თუ გარედ სამუშაოდ გასვლა უფრო მომეტებული რა ძნელი და მომეტებულად უიმედოც არის, მაგრამ მაინც ჩვენს გლეხს თავის მაჯის ძალ-ღონის იმედი ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია და ყოველივე ცხოვრების მიერ მოვლინებულს უკუღმართობასთან საბრძოლველად ერთად-ერთი თავის ფიზიკურ შეძლება—ღონეს ჰხდის. თავის მძიმე მუშაობის ფასის სიმცირესაც-კი აღარ უფრთხის გლეხი, ოღონდ-კი კარზედ მომდგარი გაჭირვება როგორმე მოიშოროს თავიდამ.

კიდევ რას იტყვის ადამიანი, რომ კარზედ გასული გლეხი თუ ოჯახს ვერაფრით შემოეშველება, შინ ცოცხალი მაინც არის დაუბრუნდეს, მაგრამ არა იშვიათია, რომ დიდ-იმედებით გარედ სამუშაოდ წასული გლეხი, შინ ხელ-ცარიელი დაბრუნების გარდა, სულაც ვეღარ ბრუნდება და, ისედაც გაჭირვებულს—ბეჩავს თავის ოჯახს ერთი-ორად აბეჩავებს და მიწასთან ასწორებს.

ამ თვის 12-ს ტფილისიდგან თიანეთში ფოსტაზე მომავალს ჩაფარს საბადურის ქედზე ენახა ნახევარ ტიტველი, სოფ. საყდრიონის მცხოვრები სიმონა სისაური. საცოდავი სიცივე შიმშილს ისე შეეწუხებინა, რომ მთვრალი კაცივით, თურმე, ბარბაცებდა და ძლივს და ადგამდა ფეხებს. ჩაფრის და ფოსტის ეტლის დანახვაზე საცოდავს იმედი მისცემოდა, შემდგარიყო და მომავალთათვის პური ეთხოვნა. მისდა საუბედუროდ ფოსტით მომავალთ პური არა ჰქონოდათ. სასო წარკვეთილს სისაურს სულ რამდენიმე ნაბიჯი-ღა წამოედგა წინ, ღონე გამოჰლეოდა და იქვე გზის პირის თოვლში ჩაჰკეცოდა ფეხები. ჩაფარს ეს ამბავი სად. საბადურში მისვლისათანავე ადგილობრივ მამასახლისისათვის ეცნობებია. მამასახლისის გაგზავნილმა კაცებმა ორს საათში ჩამოიტანეს საბადურში სიცივისაგან ჭაშოთილი სისაური. უბედური ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და მიდ-მიხდილი, მხოლოდ ამას გაიძახოდა:—«პური მაჭამეთ, პურიო»... პურიც კი მიუტანეს, ზელვაც დაუწყეს, მაგრამ საწყალმა სულ ერთი საათი იცოცხლა.

როგორც კერძოთ შევიტყვეთ, საცოდავი სისაური რამდენიმე დღის წინად ტფილისში წასულიყო, რომ სადმე ემუშავნა მისი სიცივე-შიმშილისაგან წუთი სოფლის გამოსალმება ნათლად მოწმობს, რომ მას, არამც თუ სამუშავარი უშოვია, არამედ შინადამ წაღებული საგძალიც შემოლევია და მშიერ-მწყურვალი ისევ ხელცარიელი შინისაკენ დაბრუნებულა. სისაურის მაგათ [illegible] და უკანასკნელი [illegible] ზიან ტფილისის [illegible] რამ, უქმეთი [illegible] ნა-

რით დროს ხომ ჰკარგავენ და ჰკარგავენ, მაგრამ უბედურება ის ას, რომ თვით სიცოცხლესაც-კი რავენ. სოფლის ხალხმა რა იცის, მ დღეს ტფილისი სულ სხვა ულტუროსან» ვაჟბატონების ხელია და, მაშასადამე მათთვის, (რაკვირველია ქართველ მუშათათვის) ილისში სამუშაო აღკვეთილია. არ იციან ჩვენმა გლეხებმა და ლადეც ჩვეულნი ისევ ტფილისს ყურებენ და იმისაგან მოელიან შაობას. ცხრა მთას იქიდამ გადხვეწილთ მუქთა-ჭამიათა ბრ- ა ტფილისის „კულტუროსანნი“ ვ-შესაფარს და სხვა ცხოვრების სარს მუქთად აძლევენ ქალაქის ლებით და ადგილობრივი გაჭირებულნი მკვიდრნი-კი, თვით ტფისში სამუშაოსაც ველარ შოულო- !..

ღრო, რომ ჩვენმა ტფილისის ტელიგენციამაც იღონოს რამე ილისში სამუშაოდ გლეხთა თუ ას, ან მუშაობის საშოვნელად მარება აღმოუჩინოს, ან არა და ოზე ურჩიონ მაინც სოფლად რუნება. ჩვენის აზრით, აუცილებლად საჭიროა, ტფილისში შესეს ისეთი წრე, რომლის მოვალეობაც სოფლიდამ სამუშაოდ ჩამოლი ხალხის თვალ-ყურის დევნება დახმარებას უნდა შეადგენდეს, რამ ეს საგანი ისეთი ღირს შესანავია, რომ სწორედ ღირს ამას ფიქრდეთ და ვისაც და როგ- ც კი შეუძლიან, გამოიკვლიონ საჭირ-ბოროტო საქმე.

უჩინარი

* * *

თეატრის მატიანე

პერა „ფაუსტის“ მე 1100 ჯერ მოდგენა. პარიზში ცნობილი ლოვანის შარლ გუნოს ოპერა უსტი“ ამას წინედ წარმოუდგე- საფრანგეთის და მთელი ქვენის ერთს საუკეთესო თეატრში ოპერაში (grand-opera) მე 1100 ჯერ.

—

თეატრები იტალიაში. არც ერთს ანაში არ არის ისე გამრავლებული თეატრი და წარმოდგენები, ორც კურთხეულს იტალიაში. ელ დაბა ქალაქებშიაც კი არის ტრი. ეხლა-ხან ქალაქ კატანაში, ელიც ქ. ქუთაისის ოდენა იქნება და, რომელშიაც უკვე ოთხი ტრი არსებობს, კიდევ აუშენე- ორი თეატრი. მერე ნურავინ იფიქრებს, რომ თეატრები ზა- ობდნენ, პირიქით ყოველ საღა- სავსეა ხოლმე ხალხით. ამის ი მიზეზი ის არის, რომ იტა- ში წარმოდგენებზე ადგილები ის ფასად ღირს. ადგილები შა- ან მოყოლებული, ვიდრე მა- მდეა და რა თქმა უნდა, ხალხი ნსაკუთრებით, მდაბიო და მუშა ი სიამოვნებით დადის თეატრ- , რადგან შაურის მიცემა არ უძ- დება.

* * *

სასამართლოს მატიანე.

—

დავა ფარმაცევტისა და მეაფთიაქეს შუა.

20 დეკემბერს ქალაქის მეორე განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ განიხილა ფრიად საყურადღებო და საგულისხმიერო საქმე, რომელიც ნათლად გვიხატავს აფთიაქის შეგირდების მდგომარეობას აფთიაქებში.

ტფილისში ზ. გილდარეტის აფთიაქში დაუწყია სამსახური ერთს ახალგაზდას, გვარად ბასილაიას, 2 ოქტომბერს 1895 წელს. თავდაპირველად თურმე, კარგად მიდიოდა ბასილაიას საქმე და უფროსებიც მადლიერნი ჰყვანდა მუდამ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ცნობილის პროვიზორის იონისიანცის წყალობით თან და თან ისე შეავიწროვეს იგი რომ, იძულებულ გახდა სამსახურისათვის თავი დაენებებინა.

ბასილაიას დაპირებული ჰქონდა: პირველს წელიწადს თვეში 5 მან., მეორე წელიწადს თვეში 10 მან. და მესამე წელიწადს თვეში 15 მან. ხოლო როდესაც სამსახურს გაათავებდა და ეგზამენის დასაჭერად რუსეთში წავიდოდა, ზ. გილდარეტს უნდა მიეცა მისთვისვე ერთად 150 მან. სახარჯოდ. ეს 150 მან. მისივე ჯამაგირისაგან დაკავებულის ფულებისაგან შესდგებოდა.

ბასილაიას, მიუტოვებია თუ არა სამსახური, მაშინვე მიუმართავს უფროსისადმი მომეცით ჩემი ხვედრი ფული 1 თვისა და 6 დღის ჯამაგირი 18 მ. და 108 მანათიც იმ 150 მან. ანგარიშიდამო. გილდარეტს უარი უთქვამს. საბრალო ბასილაია, ახალგაზდა კაცი, აფთიაქში გამუდმებულის შრომითა და გაი-ვაგლახით დასუსტებული, უგროშკაპეიკოდ და უბინაოდ დარჩენილა ღვთის ანაბარა; ღმერთმა უშველოთ, ამხანაგები მიშველებიან და ბინა მიუციათ. ბასილაიამ უჩივლა ზ. გილდარეტს და თხოულობდა თავის ხვედრ ფულს. ზ. გილდარეტის ვექილად მოვიდა პროვიზორი იონნისიანცი და ამტკიცებდა სასამართლოში, რომ ბასილაიას არაფერი არ ერგებაო, ხოლო ბასილაიას მოწმეებმა კი დაიცვეს მომჩივნის სიმართლე. მომრიგებელმა მოსამართლემ მიუსაჯა ბასილაიას გილდარეტისაგან მხოლოდ 18 მან. და საქმის საწარმოებელი ხარჯი, ხოლო დანარჩენს ფულზე უარი ჰყო, რადგან ვერ დაგიმტკიცებიაო.

მომჩივანმა ბასილაიამ გამოუცხადა მომრიგებელს მოსამართლეს, რომ თქვენს განაჩენს არ ვკაბულობ, განვასაჩივრებ ოლქის სასამართლოში და იქ ვეცდები დავამტკიცო ჩემი სიმართლეო.

ეს პატარა საქმე ბევრს რასმე ეუბნება ჩვენი ცხოვრების მეთვალყურეს. განა არ იცის, რომ მრავალი ჩვენებური ყმაწვილები აფთიაქებში მსახურობენ, ხოლო ეს სამსახური, როგორც ზემოდ მოყვანილ საქმიდან აღმოჩნდა. ნამდვილი კატორღა ყოფილა.

* * *

განცხადებანი

ეძებს ადგილს გამოცდილი მოსამსახურე
მოიკითხონ არშაკუნის შესახვევში № 15, პაპალოვის სახლ. ირემაშვ.
(5—1)

1-ლ იანვრიდან 1898 წ.
გაქირავდება 1-ლ თუმანოვის ქუჩაზე
კუთხის სარდაფი
პირობა მოიკითხონ იქვე მთვარელიშვილის სახლში № 18. (6—4)

ქართველთა ამხანაგობის
გამოცემანი
(ისყიდება სიკუთარ კიოსკში, ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ბაღის კუნჭულში)

თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარისა) ავტორის სურათით და იგივე მე-IV ტომი მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერისავე ყდით (თითო) . .	2—50
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი	„—80
იგივე მშვენიერს ყდით . .	1—25
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა-პოემა ბაჩანასი	„—15
ხალხური ზღაპრები I ნაწილი	„—30
იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერი ყდით	2—50
იგივე ტომი III	1—„
იგივე ტომი IV, იხა, ორი წიგნი	1—60
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	3—„
ჩანგი	1—„
სოფლის კუნჭული, დ. მაჩხანელისა	„—20
თხზულებანი აკაკისა, ტომი I	1—„
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	2—50
იგივე ტომი II	1—„
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	2—50
არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის	„—25
სიბრძნე-სიცრუე, მისივე .	„—75
იგივე კარგს ქაღალდზე . .	1—50
სამზარეულო ქართული ევროპიული საჭმელებისა . . .	1—50
თხზულებანი რ. ერისთავისა, ტომი I, სურათით . . .	1—„
იგავ-არაკნი, მისივე . . .	„—20
ღვინის დაყენება, პროფესორის გ. პეტრიაშვილისა . . .	2—50
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში თ. ა. ვახ.-ძე ორბელიანისა	„—25
საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, გ. პოტოტსი	„—40
მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა .	„—40
აივენგო, რომანი ვალტერ სკოტისა	1—„
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი გ. სენკევიჩისა . . .	1—60
დასტურ-ლამა, თხზულება ნიკოლოზ დადიანისა . . .	„—25
გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, სურათით	„—30
სიბრძნე ბალავარისა . . .	„—30

(100—15)

დაიბეჭდა და ისყიდება
1898 წლის
კედლის
ქართული კალენდარი
შედგ. გრ. ჩარკვიანის მიერ
ფასი 40 კაპ.

ისყიდება წერა-კითხვის მაღაზიაში, ს. მ. ლაზარევის სამწერლო ნივთეულობის მაღაზიაში და პროვინციებში ყველა ქართულ წიგნებით მოვაჭრეებთან.

გარეშე პირთათვის ადრესი: Тифлисъ, магазинъ канцелярскихъ принадлежностей, домъ Комоевской церкви.
(10—3)

წიგნები იაკობ გოგებაშვილისა

მეფე ერეკლე და **ინგილო ქალი**, სახალხო და საყმაწვილო მოთხრობა, ორი სურათით, ფასი ერთი შაური.

ღოსავლის მცველნი, ანუ ჰირნახულისათვის სასარგებლო ცხოველები და ფრინველები, ოცდა-ხუთი სურათით, ფასი ერთი აბაზი.

კუნწულა, რომელშიაც მოთავსებულია საყმაწვილო მოთხრობანი: ჟორჟ-ზანდისა, ლაბულესი, დოდესი და ლევ ტოლსტოისა, ფასი ორი აბაზი.

ძირითადი უკულმართობა, ანუ სამშობლო-ენის მნიშვნელობა კერძო ადამიანისა და მთელის ერისათვის, ფასი ერთი აბაზი.

Разборъ учебныхъ руководствъ по русскому языку, რომელშიაც გარჩეულნი არიან სახელმძღვანელონი: ლევიცკისა, უშინსკისა, ვოლპერისა და ჩერნიაევსკისა. ფასი ათი შაური.

ეს წიგნები და სხვა ნაწერებიც გოგებაშვილისა იყიდება «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებშიაც იქით და აქეთ საქართველოში. (15—10)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1898 ГОДЪ
НА ЕЖЕДНЕВНУЮ ПОЛИТИЧЕСКУЮ И ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТУ
„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“
(ПЯТНАДЦАТЫЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ)

Въ 1898 г. „Новое Обозрѣніе“ будетъ выходить въ Тифлисѣ, какъ и въ прошлые годы, ежедневно, по программѣ большихъ столичныхъ газетъ.

Въ истекающемъ году, въ газетѣ, кромѣ мѣстныхъ силъ, участвовали также— **К. С. Баранцевичъ, П. П. Вересаевъ, И. И. Ивановичъ, В. К.** (петербург. корресп.), **Л— овичъ** (лондон. корресп.), **Д. Н. Маминъ—Сибирякъ, М. А. Протопоповъ, акад. кн. Тархановъ, В. Е. Чешихинъ, А. С. Хах—овъ** и др.

Условія подписки: съ пересылкою и доставкою: на годъ—**10 р.**, на полгода—**6 р.**, на три мѣсяца—**3 р. 50 к.**, на одинъ мѣсяцъ—**1 р. 50 к.** *За границу*: въ годъ **17 р.**, на полгода—**9 р.**, на три мѣсяца—**5 р.** (Подписка принимается не иначе, какъ считая съ перваго числа любого мѣсяца). Для сельскихъ учителей льгота: подписная цѣна на годъ—**7 р.**, полгода **4 р.**

Для годовыхъ подписчиковъ, какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, допускается разсрочка на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.

Подписка и объявленія принимаются **въ Тифлисѣ: въ конторѣ** газеты, Барятинская ул., № 8.

Иногородные адресуютъ свои требованія: **въ Тифлисъ, въ редакцію „Новаго Обозрѣнія“**.

Лица, подписавшіяся на годовое изданіе „Новаго Обозрѣнія“ 1898 г. въ настоящее время, будутъ безплатно получать газету въ текущемъ году со дня подписки. (5—3)



სასტუმრო და ბუფეტი
იუჟნი ნომრები
ქალაქის შუაგულში, ფოსტა-ტელეგრაფის გვერდზედ,
ბარონის ქუჩაზე, თამამშევის სახლებში, № 14.

სასტუმროს აქვს 35 სუფთად მოწყობილი ნომერი, დღიურად 50 კაპ., ვიდრე 3 მანათამდე, თვიურ და ნაკლებ.

სასტუმრო არის ნაქები,
მორთული, როგორც ქალია,
მოყვასს მისს ხილვა უხარის,
მტერს-კი უდგება თვალია!

—

მობრძანდით ერთხელ, გაიგეთ,
ჩვენი რიგი და წესია:
სადილ-ვახშამი იაფი,
ნომრები უმეტესია!

—

მუდამ-ჟამს თევზი ცოცხალი
საჭმელ-სასმელი ტკბილია,
ამას არ სტყუის, თქვენმა მზემ,
აბრამიშვილი ილია!

(24—24)